

რამდენი მილიონი იშოვეს ლარის კურსის თამაშით ჩინოვნიკებმა?

გაზეთი “ალია” – 11-12 ნოემბერი, № 138, 2008

გუშინ ლარის ოფიციალური კურსი, დოლართან მიმართებაში 1,65 დაფიქსირდა. ეს ოფიციალურად, თორემ ბაზარზე სამ დღეზე მეტია დოლარს ან საერთოდ ვერ იშოვი, ან მისი ყიდვა მხოლოდ 1,70 ლარად შეიძლება. ლარის დევალვაციას ეკონომიკური ექსპერტები დიდი ხანია ვარაუდობენ და ამაზე „ალია“ არაერთხელ წერდა, მაგრამ ეროვნული ვალუტის კანონზომიერი გაუფასურება ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო და არა ასე ნახტომისებურად, როგორც ბოლო სამი დღის განმავლობაში მოხდა.

არსებულ სიტუაციას გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დავით ამაღლობელი გამოეხმაურა, რომელმაც „დაგვამწვიდა“ – „ეროვნული ვალუტის გაუფასურების ეკონომიკური საფუძველი გრძელვადიან პერიოდში არ არსებობს. კურსის კორექტირება ნაკარნახევი იყო ეკონომიკური მოსაზრებებით და ამისთვის ოპტიმალური დრო შეირჩა. დღეს კურსმა წონასწორობის წერტილს მიაღწია და დამატებით კორექტირებას არ საჭიროებს“. ამაღლობელმა ისიც გვაუწყა ლარის კურსის ბოლოდროინდელი ცვალებადობის გამო ინფლაციის მნიშვნელოვან ზრდას არ უნდა ველოდეთო. „ეს ცვლილება ინფლაციაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას არ მოახდენს, რადგან ფასების ზრდის ეკონომიკური საფუძველი არ არის, მაგრამ ცალკეულმა სავაჭრო ობიექტებმა შეიძლება, არსებული სიტუაციით ისარგებლონ“ – განაცხადა მან და მოსახლეობას თხოვნით მიმართა, პანიკას არ მიეცეთ და თქვენს საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრების ერთი ვალუტიდან მეორეში გადაყვანის მცდელობებისგან თავი შეიკავეთო. „ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა, რისთვისაც ეროვნულ ბანკს საკმარისი რესურსები და ინსტრუმენტები გააჩნია“ – დასძინა ამაღლობელმა.

მიუხედავად იმისა, რომ ამაღლობელმა ლარის მიმართ განვითარებულ მოვლენებს კანონზომიერი და დაგეგმილი უწოდა, ეს ყველაფერი ეჭვის საფუძველს გვაძლევს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, თუ რა უძღოდა წინ ამ

მოვლენებს, არ გამოირიცხება, რომ ლარის ნახტომისებური დევალაცია ხელოვნურად ხდებოდეს და ამით მაგანმა დიდი ფული იშოვოს.

ლარის გაუფასურების პროცესი ჯერ კიდევ 21 ოქტომბრიდან დაიწყო, როცა კურსი დოლართან მიმართებაში უმნიშვნელოდ, ანუ 1,412-დან 1,423-მდე გაიზარდა. ამის შემდეგ, 6 ნოემბრამდე ლარი ყოველდღიურად 0,001-0,002 ნიშნულით უფასურდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დოლარის ფასი ყოველ 100 დოლარზე 10-20 თეთრით იზრდებოდა. პრობლემები პარასკევს, ანუ 7 ნოემბერს შეიქმნა, მაგრამ ეს არანაერად არ უკავშირდებოდა ოპოზიციის აქციებს. საქმე ის გახლავთ, რომ პარასკევს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნულმა ბანკმა ძალიან მცირე რაოდენობით დოლარი, კონკრეტულად 160 ათასი გაყიდა. ეს იმ დროს, როდესაც ბირჟაზე ყოველდღიურად 10-დან 25 მილიონი დოლარის ფარგლებში მიმდინარეობს ვაჭრობა, ხოლო უშუალოდ 7 ნოემბერს მოთხოვნა 30 მილიონ დოლარს აღემატებოდა. ანუ, პრაქტიკულად შეიქმნა დოლარის ხელოვნური დეფიციტი, რაც თავისთავად აისახა ბაზარზე და რამაც დოლარის მომენტალური გაძვირება გამოიწვია. მოკლედ, ეროვნულმა ბანკმა 7 ნოემბერს ლარის კურსი 1,44 დააფიქსირა, 8 ნოემბერს ეს მაჩვენებელი 1,49-მდე გაიზარდა, ხოლო გუშინ 1,65 გახდა.

ინფორმაციისთვის შაბათ-კვირას ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობა არ მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ 8 და 9 ნოემბერს კომერციული ბანკები ეროვნული ბანკისგან დოლარის შესწიდვას ვერ მოახერხებდნენ. გუშინ ბირჟაზე დოლარზე სერიოზული მოთხოვნა დაფიქსირდა, კერძოდ კომერციულმა ბანკებმა განაცხადი 77 მილიონ 200 ათასი დოლარის შესწიდვაზე გააკეთეს, მაგრამ ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ 47 მილიონი დოლარი გაყიდა. დეფიციტი კვლავ სახეზეა... მით უმეტეს თუ არსებულ პანიკას გავითვალისწინებთ. მოსახლეობა პრაქტიკულად დოლარს აღარ ცვლის ლარში, თუმცა მათთვის ლარის დოლარში გაცვლაც შეუძლებელია. გუშინ, კომერციულმა ბანკებმა ერთგვარი ეშმაკობაც კი მოიფიქრეს. მოქალაქეებს, რომლებსაც საბარათე ანგარიშები დოლარში აქვთ გახსნილი არ შეეძლოთ თავისი თანხა დოლარშივე გამოეტანათ. ზოგი ბანკი ამას ბანკომატებში დოლარის არქონას აბრალებდა, ზოგიც ბარათების ბლოკირებას და ა.შ. ანუ, თუ ვინმეს 1000 დოლარიანი ბარათიდან თანხის აღება სურდა, შეეძლო 1650 ლარი გამოეტანა, მაგრამ 1000 დოლარი არა...

როგორც კულუარებში საუბრობენ ლარის დევალვაცია ჩინოვნიკთა გარკვეულმა ჯგუფმა დიდი ფულის გასაკეთებლად გამოიყენა. პრინციპი მარტივია: იყიდეს დიდი რაოდენობით დოლარი, რომლის ფასიც სულ რამდენიმე საათში მნიშვნელოვნად გაიზარდა. უფრო მარტივად რომ აგისხნათ, თუ რომელიმე ჩინოვნიკი კონკრეტული ბანკის მეშვეობით 6 ნოემბერს 14 მილიონ ლარად 10 მილიონი დოლარს შეიძენდა, ამ თანხის გაყიდვა დღეს 16 მილიონ 500 ათას ლარად შეუძლია. ანუ, ლარის ხელოვნური, სპეკულაციური დევალვაციით სრულიად არაფერში მოიგებდა 2 მილიონ 500 ათას ლარს. როგორც კულუარებში ამბობენ, სრულიად მოსალოდნელია ასეთი სპეკულაციური ოპერაციები კვლავ გაგრძელდეს და ამჯერად დოლარის კურსი დაეცეს ხელოვნურად. ასეთ შემთხვევაში პირიქით მოხდება – კონკრეტული ბანკის მეშვეობით შეისყიდიან ლარს, რომელსაც კურსის დაცემის შემდეგ დოლარში გაცვლიან... ყოველ 10 მილიონ დოლარზე კურსის 0,1 ნიშნულით ზრდას ან შემცირებას 1 მილიონი ლარის მოგება მოაქვს.

კომერციული ინტერესების გარდა კულუარებში პოლიტიკურ ინტერესებზეც საუბრობენ. კონკრეტულად ამბობენ იმასაც, რომ ხელისუფლება 23 ნოემბრამდე მოსახლეობის ყურადღების გადატანა სხვა პროცესებზე სურს. ამისთვის ლარის კურსის თამაში ყველაზე საუკეთესო გამოსავალია. მით უმეტეს, როცა ამ ოპერაციებმა ვიღაცეებს დიდი მოგებაც შეუძლია მოუტანოს.

თუმცა არსებობს მესამე ვერსიაც. მას ეკონომიკური ექსპერტი ნიკო ორველაშვილი ახმოვანებს და ლარის კურსის დაცემასა და ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკურ მდგომარეობას რამდენიმე ფაქტორს უკავშირებს. ორველაშვილმა ლარის კურსის ვარდნა დოლართან მიმართებაში, საქართველოს საბანკო სისტემაში კრემლის ფინანსური აგენტური საქმიანობით ახსნა.

„დღეს საქართველოში 19 მოქმედ ბანკს შორის ერთ-ერთი სერიოზული და ანგარიშგასაწევი ბანკია „ვითიბი“, რომელიც არის „ვენეშტრონ ბანკის“ შვილობილი, ანუ მის უკან დგას კრემლი. ეს არის რუსეთის სახელმწიფო ბანკი. თუ კრემლი გადაწყვეტს საქართველო მწარედ დასაჯოს, ამაში ხელს მას ვერაფერი შეუშლის“, – განაცხადა ნიკო ორველაშვილმა. მისივე მტკიცებით, ელემენტარულად „ვითიბი“ ბანკის ფილიალებისა და აგენტების მეშვეობით დაიწყება ვალუტის აუიოტაჟური შესყიდვა. ორველაშვილი

ირწმუნება, რომ რუსეთის სახელმწიფოს ეყოფა იმდენი ფული, რომ საქართველოში ვალუტის გასამყარებლად შემოტანილი ნებისმიერი რაოდენობის დახმარება ელემენტარულად შეისრუტოს.

„ეს პროცესი დაემსგავსება ძირგაგარდნილი ქვევრის ამოვსების მცდელობას. ვიდრე ეს ამოუვსებელი ხვრელი ქართულ საფინანსო სისტემაში გვაქვს, ვგულისხმობ „ვითიბი“ ბანკს თავისი განშტოებებით, მანამდე კარგად უნდა გვესმოდეს, რომ რამდენი მილიონიც არ უნდა ჩავეყაროთ ბირჟაზე, დოლარის კურსის დასაჭერად, ჩვენი მცდელობა იქნება მარცხისთვის განწირული“, – აღნიშნა ორველაშვილმა.

ექსპერტს წინასწარ უჭირს პროგნოზირება, თუ რას დაუპირისპირებს ხელისუფლება დღევანდელ მდგომარეობას და როგორ შეაჩერებს ლარის კურსს. თუმცა, ორველაშვილს საეჭვოდ მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებას არანაირი გეგმა არ აქვს.

„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა:

– რაც შეეხება დავით ამაღლობელის განცხადებას, მე მისი არგუმენტები აბსოლუტურად არადამაჯერებლად მიმაჩნია. რაც მან მოიყვანა, ვითომდა არგუმენტი თავისი პოზიციის გასამართლებლად, სინამდვილეში არის კონტრ არგუმენტი. მან თქვა, რომ რაც პარასკევს მოხდა ეს იყო დაგეგმილი და განხორციელდა შეგნებულად, ამ სიტყვებში ჩვენ შეგვიძლია ყველას შევიტანოთ სერიოზული ეჭვი, თუნდაც იმიტომ, რომ შაბათს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, რადგან დოლარის გამყარება გლობალურ პროცესებს უკავშირდებაო. ასე, რომ ეს რომ ყოფილიყო დაგეგმილი, როგორც ეს დღეს ამაღლობელმა “შეფუთა”, მაშინ რაღაც ინფორმაცია მაინც უნდა ჰქონოდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ მოხდა სულ სხვა რამ. პარასკევს ჩაშალეს საბირჟო ვაჭრობა. თუმცა რატომ ეს არ ვიცი. ეს შეიძლება მომხდარიყო ან არაკომპეტენტურობის გამო, ან მავანთა “ბოროტ ზრახვათა” გამო. ამაში უნდა გაერკვენ კომპეტენტური ორგანოები. ოფიციალურად არ დააფიქსირეს კურსის ვარდნა, ხოლო ორშაბათს, როცა ბაზარზე შეიქმნა პანიკა და სხვა გზა არ იყო, იძულებული გახდნენ ოფიციალურადაც დაეფიქსირებინათ კურსის ნახტომისებური ვარდნა. ეს

იმიტომ, რომ ბაზარმა ეს კურსი ისედაც დააფიქსირა და შემდეგ ექებდნენ გამართლებას, როგორ აეხსნათ, რომ ეს იყო სწორი და ეს გაუკეთებიათ შეგნებულად. საყურადღებოა, რომ როდესაც ასეთ ნახტომს აკეთებ, ეს ანგრევს ეკონომიკას და გიქმნის დესტაბილიზაციას. თუმცა მინდა დავადასტურო, რომ მე ბატონ ამდლობელს ვიცნობ, როგორც კარგ მაკროეკონომისტს, რის გამოც კიდევ მეტად გასაკვირია როგორ შეიძლება კაცმა თავზე ნაცარი წაიყარო და იულაპარაკო ისეთ რამეებზე, რაც შენ თვითონ არ უნდა გჯეროდეს. თუმცა რას იზამ, როცა სხვა გზა არა გაქვს, რადანაერად ლამაზად უნდა “შეფუთო” ის რაც რეალობაა.

– ბატონო ლადო, რა პროგნოზს გააკეთებდით თქვენ? რა ელოდება ლარს?

– ამაზე პასუხის გაცემა ერთის მხრივ ადვილია და მეორეს მხრივ რთული. ადვილია იმიტომ, რომ დოლარის გამყარება და ლარის გაუფასურება ობიექტური პროცესია, რისი მიზეზიცაა გლობალური ფინანსური კრიზისი და რუსეთთან საომარი მოქმედებები. ჩვენ ამის თაობაზე არაერთხელ გვისაუბრია და მის განმეორებას აღარ შევუდგები. ქვეყანაში დოლარის მასის ნაკლებ შემოსვლას ბუნებრივად მოჰყვება მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დარღვევა და ლარის გაუფასურება. თუმცა ამის ორი სცენარია: ან უნდა გაკეთდეს მცოცავი გაუფასურება, ან ნახტომისებური. მცოცავი გაუფასურება არის ის ობიექტური რეალობა, რასაც ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ. თანაც ამის რესურსი ქვეყანას გააჩნია. დღეს ეროვნულ ბანკს რეზერვებში გააჩნია 1 მილიარდ დოლარზე მეტი და ამასთან ერთად ის 4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც ქვეყანაში უნდა შემოვიდეს უახლოესი 26 თვის განმავლობაში საკმარისი რესურსია იმისათვის, რომ ეკონომიკური კატარსტოფა და ლარის ფანტასტიური ვარდნა რა მოხდეს. ახლა რა არის სირთულე? სირთულეა ის, რაც მოხდა პარასკევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური საფუძველი იმისა, რომ სავალუტო კრიზისი რომ არ მოხდეს ქვეყანაში ამის რესურსი არსებობს, თუმცა ჩვენი შესაბამისი თანამდებობის პირების ქცევა არაპროგნოზირებადია. ხვალ, ზეგ ან ერთი თვის შემდეგაც კიდევ რომ ჩააღონ საბირჟო ვაჭრობა, რა გარანტია გვაქვს? მით უმეტეს, თუ ამის გამო ახლა არავინ დაისჯება.

– თქვენი აზრით ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ კურსის თამაში სპეკულაციური გზებით ისევ გაგრძელდეს და ამით ვიდაცეებმა იშოვონ დიდი ფული?

– გამორიცხული არაფერია. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ, როგორც არასდროს საჭიროა ეროვნული ბანკი იყოს ინსტიტუციონალურად ძლიერი და ამავდროულად დამოუკიდებელი ორგანო და ის რაც ჩაიდინა საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის თებერველ-მარტში, როდესაც ეროვნული ბანკის კანონში შეიტანა ცვლილება და ეს ორგანო დაასუსტა, ამის შედეგს ვიმკით ჩვენ დღეს. ამიტომაც ვთვლი, რომ ეროვნული ბანკი ისევ უნდა განმტკიცდეს და ამავდროულად არ გამოვრიცხავ, რომ საჭირო იყოს ჩვენი უშიშროების სამსახურების აქტიური საქმიანობა იმასთან დაკავშირებით, რომ რაიმე დამატებითი საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის ისეთ ეროვნულ ინტერესს, როგორიც არის ვალუტის სტაბილურობა.

დიმიტრი ტიკარაძე